ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს შორის

ქ. ბათუმი 15 თებერვალი 2021 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში „უმაღლესი საბჭო"), წარმოდგენილი თავმჯდომარის დავით გაბაიძის სახით და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის მამუკა თავხელიძის სახით (შემდგომში-მხარეები), უმაღლესი საბჭოსა და უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივების განხორციელების მიზნით, ვაფორმებთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს შემდეგი პირობებით:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

საკანონმდებლო, სამართლებრივ და სახელმწიფოთა მმართველობის საკითხებზე სტუდენტთა ცოდნის გაღრმავება, მათთვის უმაღლეს საბჭოში დასაქმებულ პირთა პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება და მაღალი კომპეტენციის მქონე კადრების მომზადების ხელშეწყობა.

3. მემორანდუმის ამოცანები

3.1. ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, აქტუალურ საკითხებზე, ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზება; საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კვლევა და სასწავლო-საგანმანათლებლო (მათ შორის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო) პროექტების განხორციელება;

3.2. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, უმაღლეს საბჭოში დასაქმებულ პირთა მიერ სტუდენტებისთვის ლექცია-სემინარების, ხოლო სტუდენტების მონაწილეობით იმიტირებული უმაღლესი საბჭოს სხდომების ჩატარება;

3.3. ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, ანალიტიკურ საქმიანობაში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჩართვა;

3.4. მხარეთა შეთანხმებით, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და ტრენერ ექსპერტთა ჩართვა უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებულ პროექტებში;

3.5. ორმხრივი ინტერესის შემთხვევაში, ერთობლივი პუბლიკაციების მომზადებასა და გამოქვეყნებაში მონაწილეობა (ურთიერთთანამშრომლობის პირობებში შექმნილი ინტელექტუალური შრომის პროდუქტი წარმოადგენს ორივე მხარის საკუთრებას);

3.6. სხვა ღონისძიებების განხორციელება მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. სტუდენტების ინფორმირება უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით გამოცხადებულ სტუდენტურ პროექტებზე, სტაჟირებასა და სხვადასხვა კონკურსებზე;

4.2. უმაღლესი საბჭოს მიმართვის საფუძველზე, სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზება, გამოცხადებულ კონკურსებსა და სტუდენტურ პროექტებში დაინტერესებული პირების ჩართვის ხელშეწყობა;

4.3. პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებული ცოდნის გაღრმავების მიზნით, სტუდენტებისთვის უმაღლეს საბჭოში პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფა;

4.4. საჭიროების შემთხვევაში, წინასწარი განაცხადისა და შეთანხმების საფუძველზე უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომათა დარბაზის უსასყიდლოდ დათმობა;

4.5. შეთანხმების შემთხვევაში, უნივერსიტეტის მხრიდან კუთვნილი აუდიტორიების, კომპიუტერული ტექნიკისა და სხვა მატერიალური საშუალებების უსასყიდლოდ გამოყოფა;

4.6. შეთანხმების შემთხვევაში, უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით კუთვნილი ბეჭდური ან/და ელექტრონული გამოცემების გადაცემა.

5. მემორანდუმის მოქმედების ვადა

5.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედების ვადა არ არის შეზღუდული;

5.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ყოველგვარი მიზეზის გარეშე წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე, ხოლო კონკრეტული მიზეზით გაუქმება მეორე მხარისთვის 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე;

5.3. ამ მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა (მათი შესაძლებლობის ფარგლებში) უნდა განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად;

5.4. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

მისამართი:ლუკა ასათიანის ქუჩა
№ 37
ბათუმი, საქართველო
ტელ:(+995 322) 28 54 48
ელ. ფოსტა:contact@sca.ge

გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის რექტორი

მამუკა თავხელიძე

მინდობილი პირი,
ბათუმის წარმომადგენლობის
ხელმძღვანელი

ამირან მესხიშვილი

მისამართი: თამარ მეფის
გამზირი N60
ბათუმი, საქართველო
ტელ: 0 (422) 24 51 33
ელ. ფოსტა: info@gruni.edu.ge